COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებათა კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის -შორენა ალაგარდაშვილის მიერ

2023 წელი

http://www.mc.edu.ge

საკვლევი საკითხი:

შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დონის და საჭიროების დადგენა

კვლევის მიზნები:

- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების კმაყოფილების დონის დადგენა;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების საჭიროებების დადგენა;

სამიზნე ჯგუფი:

კოლეჯის პერსონალი - მასწავლებელი და ადმინისტრაცია;

კვლევის მეთოდი:

თვისებრივი;

კვლევის ინსტრუმენტი

თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი: ფოკუს ჯგუფი - საორიენტაციო კითხვები.

თემის აქტუალობა

საგანმანათლებლო სივრცეში იმისათვის, რომ დაწესებულებამ შეძლოს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება უმნიშვნელოვანესი საკითხს წარმოადგენს პერსონალი. კვლევის ფარგლებში შპს ”მარნეულის კოლეჯი” მუშაობს თანამშრომლების საჭიროებაზე და მათი კმაყოფილების დასადგენად.

შპს მარნეულის კოლეჯი სამოქმედო წლის დასაწყისში ახორციელებს აღნიშნულ კვლევას, რომლის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი იცვლება სამოქმედო წლის დაწყებამდე და ცვლილების საფუძველს წარმოადგენს წინა წლის კვლევის შედეგები.

შერჩევა

კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა პროგრამების მიხედვით. მოქმედი 4 პროფესიული პროგრამიდან შედგა 4 ფოკუს ჯგუფი. ხოლო მე-5 ფოკუს ჯგუფი დაკოპმლექტდა ადმინისტრაციული პერსონალისგან. ფოკუს ჯგუფების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 4-5 წევრი. მოხდა ფოკუს ჯგუფის მსვლელობის აუდიო ჩანაწერის გაკეთება, რომელიც ტრანსკრიპტების დაწერის შემდეგ ყველა განადგურდა.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 16 პირმა.

12 პროფესიული განათლების მასწავლებელმა;

6 ადმინისტრაციულმა პერსონალმა;

ადმინისტრაციული პერსონალი

- ფოკუს ჯგუფის წევრებთან გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ კოლეჯის 1 წლიანი სამოქმედო გეგმას.
- რესპოდენტებმა საკუთარი პოზიციებისა და ვალდებულებების მიხედვით დაახასიათეს საკუთარი საქმიანობა.
- პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა რომ ისინი პერიოდულად ხვდებიან სტუდენტებს აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას მათ სწავლასთან დაკავშირებით
- გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების კუთხითაც და აღინიშნა, რომ არის შემთხვევები როდესაც თავად ორგანიზაციამ არ იცის რა და როგორ აუხსნას და ასწავლოს სტუდენტს სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.
- რესპოდენტების მიერ დადებითად შეფასდა ხარისხის სამსახურის მიერ სამუშაო გეგმების წარმოების მოთხოვნა, მაგრამ ვერ მოხდა იმის ახსნა, თუ რატომ არ/ვერ მიუმართავთ კოლეჯის ხელმძღვანელობისთვის ინიციატივებთან დაკავშირებით.

საექთნო განათლება

- საექთნო განათლების ფოკუს ჯგუფის რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი იცნობენ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს და საკუთარ უფლებებს და მოვალეობებს.
- რესპოდენტებმა აღწერეს სამუშაო პროცესი, ის თუ როგორ წარმართავენ სასწავლო პროცესს. დადებითად უნდა შეფასდეს მათი მხრიდან მობილიზება და მეცადინეობის ორგანიზების საკითხი,
- ძირითადად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სტუდენტების მიერ ახალი მასალის გაგების გადამოწმების რელევანტურ აქტივობებს არ იყენებენ.

ფარმაცია

მასწავლებლები იცნობენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს და აღწერენ მათ სამუშაო პროცესებს. მეცადინეობის დაწყებამდე კი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სტუდენტებს გააცნონ მოდული და წინასწარ აცნობონ მოდულის ფარგლებში გასავლელი საკითხები, რაც მათ მოტივაციის გაზრდაში ეხმარებათ.

მასწავლებლები აღნიშნავენ კოლეჯის მიერ მათთვის დაგეგმილი და ჩატარებული ტრენინგების წვლილს, რაც დაეხმარათ სამუშაო პროცესში რიგი საკითხების დანერგვაში.

სწავლის პროცესის წინასწარ დაგეგმვასთან დაკავშირებით, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყველა მეცადინეობას არ გეგმავენ წინასწარ, თუმცა აქვთ ტრენინგების ფარგლებში გავლილი საკითხების მონახაზი, თუ როგორ უნდა წარიმართოს სამეცადინო პროცესი,

აღმზრდელი

კვლევაში მონაწილე პირებმა აღწერეს მოდულის დაწყებამდე მოსამზადებელი პერიოდი. პირველ რიგში ისინი თავიდან ეცნობიან მოდულს, მოიძიებენ მასალას, ადგენენ კალენდარულ გეგმებს და ასევე მოდულის დაწყებისთანავე იწყებენ შეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობას.

კვლევის ფარგლებში, მასწავლებლებთან მოხდა ჩაკითხვა, გეგმავენ თუ არა წინასწარ მეცადინეობებს, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს უკვე წინასწარ აქვთ კალენდარულ გეგმაში გაწერილი მეცადინეობის დროს გამოსაყენებელი სწავლის მეთოდები და მიუთითებენ, რომ მეცადინეობებზე მუდამ მომზადებულები შედიან და აქვე დადებითად აფასებენ, რომ მათ გაიარეს კოლეჯის მიერ დაგეგმილი ტრენინგი, სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით,

ინფორმაციის ტექნოლოგიები

კვლევაში მონაწილე მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ ისინი იცნობენ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს. მათ აქვთ წვდომა კოლეჯის ყველა მარეგულირებელ დოკუმენტზე.

კვლევაში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ მოდულის დაწყებამდე ადგენენ კალენდარულ გეგმებს და მუდმივად აქვთ პროგრამის ხელმძღვანელთან განხილვები ნებისმიერ საჭირო საკითხთან დაკავშირებით.

კვლევაში მონაწილე მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კონკრეტული მოდულების ფარგლებში არის სახელმძღვანელოები, რომლებშიც რთული ენით წერია, ან არის მწირი ლიტერატურა, ამიტომ მასწავლებლები მარტივი ენით უხსნიან სტუდენტებს ლიტერატურაში არსებულ საკითხებს და დამატებით კონსპექტის სახით აწვდიან მოძიებულ და ამობეჭდილ მასალას.

ინფორმაციის ტექნოლოგიები

სტუდენტების შეფასების პროცესებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მასწავლებლებს ყოველთვის წინასწარ აქვთ მზად შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით კი გაჟღერდა, რომ ინფორმირებულობას ახდენენ ორი კვირით ადრე.

კვლევაში მონაწილე მასწავლებლემბა დააფიქსირეს, რომ ისინი პროფესიულ განათლებაში არსებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელის, ოფიციალური გვერდებიდან და ასევე პროფესიულ განათლებაში არსებული სანაცნობო წრისგან.

მიგნებები და რეკომენტაციები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით გამოიკვეთა მიმართულებები პერსონალი საჭიროებს კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან დახმარებას. კერძოდ:

- პრაქტიკის ობიექტებთან კომუნიკაციის სტრატეგიების ცოდნა
- არქივის წარმოება და პერსონალის პირადი საქმის წარმოება შენახვა
- ინვეტნარიზაციის პროცესების მოთხოვნების შესაბამისი წარმართვა
- პროფორიენტაციის მიმართულებით ეფექტური სტრატეგიების ფლობა
- საჩვენებელი და სამოდელო მეცადინეობების განხორციელება, გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- შეფასების მიმართულებით პრაქტიკული ტრენინგები.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სასწავლო პროცესში.
- სწავლის მეთოდები - სიტუაციურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება
- თეორიული მეცადინეობის ტრანსფერი პრაქტიკული მეცადინეობებზე

COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

გმადლობთ ყურადღებისთვის